განკარგულება:**გ-47.47211483**
თარიღი:**28/05/2021**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N24

ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების 2020 წლიდან დღემდე ახალი კორონა ვისურის (KOVID 19) პანდემიის პირობებში გაწეული საქმიანობის ანგარიშის ცნობად მიღებისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების საფუძველზე

საკრებულო ადგენს:

1. ცნობად იქნეს მიღებული ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების 2020 წლიდან დღემდე ახალი კორონა ვისურის (KOVID 19) პანდემიის პირობებში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში.

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ:

ა) ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანებისთვის, კერძოდ სამუსიკო სკოლისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან უზრუნველყოს 40 000 (ორმოცი ათსი) ლარის გამოყოფა, მუსიკალური ინსტრუმენტების შესაძენად.

ბ) 2022 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინოს 150 000 (ასორმოცდაათი ათასი) ლარი ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანებისათვის, კერძოდ სამხატვრო სკოლის შენობის პროექტირებისა და რეაბილიტაციისათვის.

3.განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი